

განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებულია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. აღნიშნული, წარმოშობს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატების განხორციელების აუცილებლობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია განისაზღვროს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის წესი; დადგინდეს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების რეგისტრაციის პროცედურა; განისაზღვროს თვითმმართველი ერთეულის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას, გარდა დადგენილი გამონაკლისებისა, თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადასცემს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს თხოვნის საფუძველზე, ხოლო ქ. თბილისში – მერის წარდგინებით.

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონება, გარდა გამონაკლისებისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. ხოლო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას მიკუთვლელური ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მიზნით, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო წერილობითი მოთხოვნით მიმართავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას, რაც წარმოადგენს აღნიშნული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის საფუძველს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად გათვალისწინებული ქონების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად აღრიცხვისა და საკუთრების უფლების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დარეგისტრირების შესახებ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია აცნობოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

კანონპროექტი ასევე ადგენს თვითმმართველი ერთეულის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესს: თვითმმართველი ერთეული მის

საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ქ. თბილისში – თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება. ასეთ შემთხვევაში თვითმმართველ ერთეულსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის ფორმდება ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედების შედეგად დამატებითი შემოსავლები არ ექნებათ ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერია.

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამეტის წევრები ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.